სალომე წიკლაური*

მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობა და მისი პრაქტიკული გამოყენების თავისებურება

I. შესავალი

პირის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა თავისი უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებაა[1]. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს საპროცესო უფლებებს, რომლითაც პირს შეუძლია ისარგებლოს სამართალწარმოების დროს. სამოქალაქო საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია ორივე მხარის აქტიური მონაწილეობა. საპროცესო უფლებების გამოუყენებლობას შეიძლება მოჰყვეს არახელსაყრელი შედეგი იმ მხარისათვის, რომელმაც ეს უფლებები არ გამოიყენა.[2] მხარეთა უფლებები იყოფა ზოგად და სპეციალურ უფლებებად. სწორედ სპეციალურ უფლებების ჯგუფს არის მიკუთვნებული 83[1] მუხლი – სარჩელის გამოხმობის უფლება[3], რომელსაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს.

სტატიის მიზანია განსაზღვროს სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტის დანიშნულება, ასევე, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპებზე მისი პრაქტიკული გამოყენების

---

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე. orcid.org/0000-0002-8334-5228.

1 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე, N6, თბილისი, 2015, 23.

3 ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 144.

თავისებურებების წარმოჩენა და იმ კონკრეტული საკითხის გამოკვეთა, რაც ახასიათებს აღნიშნული უფლების გამოყენებას, მისი ბოროტად სარგებლობის საფუძველზე.

II. სარჩელის გამოხმობის ინსტიტუტის ქართული და გერმანული შედარება

ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სარჩელის გახმობა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე უარს კი არ ამბობს თავის სარჩელზე (სასარჩელო მოთხოვნაზე), არამედ მას აღარ სურს მის მიერ შეტანილი სარჩელის განხილვა. კანონი არ მოითხოვს მოსარჩელისაგან იმის დასაბუთებას, თუ რატომ გადაიფიქრა მოსარჩელემ სარჩელის ამჟამად განხილვა. სასამართლომ არ უნდა მოთხოვოს მას ასეთი დასაბუთება: სარჩელის აღძვრის მსგავსად, სარჩელის გამოხმობაც, ანუ უკან გამოტანა, დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაა.[4]

სსკ-ის 83[1] მუხლით მოწესრიგებული სარჩელის დაბრუნება მოსარჩელისთვის და გერმანულ კანონში მოწესრიგებული სარჩელის გამოხმობა[5] საწყის ეტაპზე ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს. განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელისთვის შესაძლებელი უნდა იყოს სასამართლო განხილვაში არსებული სარჩელის შედეგების მისთვის იაფი გზით აღმოფხვრა ისე, რომ ამაზე გავლენა არ იქონიოს სარჩელზე უარის თქმის გადაწყვეტილების მატერიალურსამართლებრივი ძალის მოქმედებამ. ქართული სამართლისგან განსხვავებით, გერმანულ სამართალში არ არის დაშვებული სასამართლოში შეტანილი წერილობითი განცხადებების დაბრუნება. დოკუმენტაციის შენახვის საფუძვლებიდან გამომდინარე, ყველა ის წერილობითი განცხადება, რომლებიც წარედგინება სასამართლოს, უნდა დარჩეს საქმის მასალებში. შესაბამისად,

---

[4] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 155.

[5] Code of Civil Procedure of the Federal Republic of Germany, 1877, §269.

გერმანული მართლწესრიგისთვის უცნობია ცნება „სარჩელის გამოთხოვა“, ქართული გაგებით. მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე გერმანულ სასამართლო პრაქტიკასა და სამართალმცოდნეობაში უმეტესწილად განიხილება, როგორც დამოუკიდებელი სამართლის ინსტიტუტი, მასში, საბოლოოდ, უნდა დავინახოთ მხოლოდ სპეციალურად სტრუქტურირებული აღიარებითი სარჩელი. ასე რომ, ამ ინსტიტუტისთვის შეიძლება არსებობდეს ადგილი ქართულ სამოქალაქო პროცესში. მხარის ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე არ არის ბოლომდე მოწესრიგებული გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ის განავითარა სასამართლო პრაქტიკამ. ქართულ სამართალში პრობლემა შესაძლოა იყოს ის, რომ ცალმხრივი განცხადება დავის დამთავრებაზე მოიაზრება სარჩელის შეცვლად და, აქედან გამომდინარე, შეიძლება დაექვემდებაროს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეზღუდვას ვადებში.[6]

III. სარჩელის გამოხმობის სტადიები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და სასამართლოს როლი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83^1 მუხლი გამოიყენება, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და შესაბამისი თავისებურებანი ახასიათებს.

ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე პირი, შესაძლოა იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და ადმინისტრაციული ორგანო.

---

[6] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი, 2020, 311.

ამ მხრივ საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება, რომელშიც განმარტებულია, რომ სასამართლოს მოსაზრებით, დისპოზიციურობის პრინციპი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით არის განმტკიცებული და თავის თავში მოიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ დისპოზიციურობის პრინციპს, რომლის საფუძველზე დაცული და გარანტირებულია დაინტერესებული პირების ნების გამოვლენის თავისუფლება – უფლება მიმართონ სასამართლოს, საქმე მორიგებით დაამთავრონ, უარი თქვან სარჩელზე ან ცნონ სარჩელი. ამასთან, ადმინისტრაციულ პროცესის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოების დისპოზიციურობა არის შეზღუდული და ადმინისტრაციულ სასამართლოს ეკისრება კანონისმიერი ვალდებულება შეამოწმოს რამდენად კანონშესაბამისია ადმინისტრაციული ორგანოს უარი სარჩელზე, სარჩელის ცნობა ან თანხმობა საქმის მორიგებით დამთავრებაზე, ხოლო სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოს დისპოზიციურობა შეზღუდული არ არის[7].

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსამზადებელ ეტაპზე არის პირის (მოსარჩელის, განმცხადებლის) შეუზღუდავი უფლება და მასში მოიაზრება სარჩელის გახმობა საქმის ნებისმიერ ეტაპზე: 1. სარჩელის გახმობა, როდესაც საქმეზე დადგენილია ხარვეზი (განცხადების წარდგენის გზით), ამ შემთხვევაში სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე ეგზავნება მხოლოდ მოსარჩელე მხარეს;[8] 2. სარჩელის გახმობა სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ, თუმცა სასამართლოს სხდომის გამართვამდე (განცხადების წარდგენის გზით), სასამართლოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების თაო-

---

[7] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 08 ივლისის N3/5271-19 განჩინება.

[8] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 06 დეკემბრის განჩინება N3/6976-21.

ბაზე ეგზავნება საქმეში მონაწილე ყველა მხარეს;[9] 3. სარჩელის გახმობა სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე (როგორც განცხადების წარდგენის გზით, ასევე სხდომაზე ზეპირი შუამდგომლობის საფუძველზე)[10].

პირველ და მეორე შემთხვევაში, სასამართლო მსჯელობს ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით, ხოლო სხდომაზე წარდგენილი შუამდგომლობის შემთხვევაში, სასამართლოს სხდომაზე საოქმო განჩინებით[11], რაც საჩივრდება კერძო საჩივრით[12]. მოცემულ (სამივე) შემთხვევაში, შუამდგომლობა მხარეთა თანხმობას არ საჭიროებს. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, მოსარჩელე მხარეს იგი ნებისმიერ შემთხვევაში სრულად დაუბრუნდება, რაც აისახება სასამართლოს განჩინებაში. დედანი დოკუმენტის სახით სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ ხდება. აღსანიშნავია, რომ ამ დროს სასამართლოს (პირველი ინსტანციის) პრაქტიკაში არ მოიპოვება იმდაგვარი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილებულა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის გახმობის გამო საქმის განუხილველად დატოვების შესახებ.

რაც შეეხება სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელის გამოხმობას, კანონი იცავს მოპასუხის ინტერესებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ შემთხვევაში საჭიროა მოპასუხის თანხმობა. თუ მოპასუხეს სურს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს მის წინააღმდეგ არსებული სარჩელის ბედი და ამიტომ არაა თანახმა, სარჩელი უკან გაითხოვოს მოსარჩელემ, რომელსაც შეუძლია კვლავ აღძრას იგივე სარჩელი, სასამართლომ უარი უნდა უთხრას

---

[9] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინება N3/7053-17.

[10] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 მაისის განჩინება N3/257-18.

[11] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 04 თებერვლის განჩინება N3/7004-20.

[12] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 21 ივლისის განჩინება N3/2470-21.

მოსარჩელეს სარჩელის გამოხმობაზე და განიხილოს და გადაწყვიტოს ეს სარჩელი არსებითად. სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის გამოხმობაზე უარის თქმის შესახებ, რომელზეც კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.[13] თუ არსებობს მხარეთა თანხმობა, სასამართლო მსჯელობს საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე და საქმეზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მხარეს უკან უბრუნდება. სასამართლო არ არის შეზღუდული, საქმის მთავარ ეტაპზე მოსარჩელის მიერ განცხადების წარდგენის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მოპასუხეს და მესამე პირს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და წერილობითვე მოსთხოვოს პასუხი. თუ მხარეები წერილობითი ფორმით დათანხმდებიან სარჩელის გახმობას, სასამართლო უფლებამოსილია, ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელოს სარჩელის გახმობის გამო საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე.[14] ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების დაკისრება მოსარჩელისათვის, ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში თითქმის არ ხდება, რამდენადაც მოპასუხე მხარე, როგორც წესი, არის ადმინისტრაციული ორგანო და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელეზე დაკისრების მხრივ, პრაქტიკაში ვერ იქნა მოძიებული. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ შემთხვევაშიც, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი მას სრულად უბრუნდება.

იგივე პრინციპი მოქმედებს სააპელაციო სასამართლოშიც. მხარეს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო სასამართლოს სარჩელის გახმობის თაობაზე, რაც სასამართლოს მხრიდან ასევე კმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში უქმდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.[15] ასევე, უზენაესი

---

[13] ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 155.

[14] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 აპრილის განჩინება N3/2803-19.

[15] იხ., თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ოქტომბრის განჩინება N3b/332-10.

სასამართლოს პრაქტიკაშიც არის შემთხვევები, როდესაც საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში, კასატორი შუამდგომლობს სარჩელის გახმობის თაობაზე და თუ მოპასუხე და მესამე პირი დაეთანხმება, შუამდგომლობა კმაყოფილდება, უქმდება სააპელაციო სასამართლოსა და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები[16].

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებული შემთხვევა, როდესაც სასამართლომ უარი უთხრა კასატორს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით სარჩელის გამოხმობის გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, იმ მოტივით, რომ:

> „მოთხოვნა სარჩელის გამოხმობის თაობაზე აკმაყოფილებდა ზემოღნიშნული ნორმის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლოში სარჩელის გამოხმობის თაობაზე შუამდგომლობის განხილვისას მხარის მიერ არ იყო წარმოდგენილი განცხადება სარჩელის გამოხმობაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83[1] მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესით, სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული და დაუბრუნდა იგი მოსარჩელეს. ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ რ. მ-ელის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, სააპელაციო პალატის განჩინება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად და არ არსებობდა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი“[17].

---

[16] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის განჩინება Nბს-1333-1292(კ-08).

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 სექტემბრის განჩინება Nბს-868-830(კს-09).

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო პროცესში სარჩელის გამოხმობის გამო საქმის განუხილველად დატოვება შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ[18], ასევე მოსამზადებელ ან მთავარ სხდომაზე, იგივე პრინციპების გამოყენებით.

IV. სარჩელის გამოხმობის პრაქტიკული გამოყენების თავისებურება

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შესაძლოა მოსარჩელემ მისთვის კანონით მინიჭებული ეს უფლება არაკეთილსინდისიერად, თუმცა მისთვის სასარგებლოდ გამოიყენოს. მაგალითად, საქართველოში დროებით მყოფ უცხოელ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით. სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მოსარჩელეს უფლება აქვს ცნობის სახით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში წარადგინოს სასამართლოს დოკუმენტი, რის საფუძველზეც მას გარკვეული ვადით უხანგრძლივდება საქართველოში ყოფნა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს, რომელიც ვერ ასრულებს ამ კანონის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტით მისთვის დაკისრებულ ვალდებულებას, შესაძლებელია გადაუვადდეს საქართველოდან გასვლის ვალდებულება: თუ საქართველოს საერთო სასამართლოში მიმდინარეობს წარმოება მისი მონაწილეობით და საქართველოში მის ყოფნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მისი ინტერესების დასაცავად. განცხადება გადავადების თაობაზე, ორგანოს

[18] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 09 დეკემბრის განჩინება N2/31389-21

მიერ იხილება შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში[19]. საკითხის მოგვარების შემდეგ მოსარჩელეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და სსსკ-ის 83[1] მუხლის საფუძველზე იშუამდგომლოს სარჩელის გახმობის გამო საქმის განუხილველად დატოვების თაობაზე. ამ შემთხვევაში, სასამართლოს არ შეუძლია პირს შეუზღუდოს ეს უფლება და საქმის მომზადების ეტაპზევე უნდა დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, მით უმეტეს, რომ მოპასუხის თანხმობა საჭირო არ არის. ასევე, მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთან, მხარეს არ ერთმევა უფლება კვლავ მიმართოს სასამართლოს, იმავე საფუძვლით, იმავე მხარეებს შორის და იმავე დავის საგნით, თუმცა ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი რაიმე სხვა ნორმა არ არსებობს, რამდენადაც კანონი არ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას სარჩელის გამოხმობასთან დაკავშირებით.

V. დასკვნა

სარჩელის გამოხმობის უფლებით როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, განხილული ეტაპების გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარე შეუზღუდავად სარგებლოს, რაც, პოზიტიური გაგებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსარჩელის უფლებრივ გამოხატულებაში. მოსარჩელისთვის კანონით მინიჭებულ ამ უფლებას აბსოლუტურად ერგება სასამართლო, რომელსაც არ გააჩნია მექანიზმი, აკონტროლოს მხარის კეთილსინდისიერება. ძირითად შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ამ უფლების გამოყენება დაკავშირებულია მოსარჩელის შესაძლებლობასთან, თვითონ განსაზღვროს მისი უფლების სასამართლო წესით დაცვის საჭიროება ან უარი თქვას მასზე ისე, რომ გათავისუფლდეს დამატებითი საპროცესო მოქმედებების შესრულების ან ხარჯებისაგან.

---

[19] იქვე.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, მხარეთა საპროცესო უფლებების გამოყენება საკანონმდებლო ნორმების მიზნის გამართლებას ემსახურება. ერთი შეხედვით სწორად დაგეგმილი პრაქტიკა სურლებითაც არ ნიშნავს მისი აბსოლუტური გამართლების შესაძლებლობას. მოსარჩელის უფლება – შეუზღუდავად შეასრულოს მისთვის კანონით მინიჭებული საპროცესო მოქმედება, ერთი მხრივ, ლოგიკურად უკავშირდება ზემოაღნიშნული ნორმის მიზანს, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკაში არსებული მაგალითების საფუძველზე, წარმოაჩენს მისი გამოყენების არაკეთილსინდისიერ შესაძლებლობასაც, რომელზე კონტროლი ან უფლების ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანის მექანიზმი არ არსებობს.